განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საფირმო სახელწოდება)

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი

(პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)

სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: ვანდა ქობულაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ტატიანა ჯიქია

კვების დარგში ექსპერტი: ია ქარქაშაძე

| |
|---|
| სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: თეა ასანიძე |

## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული ) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 231948863 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | სოფელი ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | |

| | |
|---|---|
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საქართველო, ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. # 109 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | თერჯოლის მუნიციპალიტეტი სოფელი ზედა საზანო |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | ბრძანება №MES 2 25 0000631613. 06/06/2025 |

| | |
|---|---|
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 2025წ 02-03 ივლისი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)** | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

**6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო | ქართული ენა | | 50<br>ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☒ |

---

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფისთვის. სასკოლო მზაობის პროგრამა: ,,თამაში." | | | პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფი რელევანტურად მიიჩნევს 30 ბავშვს |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2025 წლის 02 და 03 ივლისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოს საბავშვო ბაგა-ბაღში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჭირო მასალებს, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით და მშვიდ გარემოში, რაიმე სახის გართულება არ ყოფილა, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტის დროს მოხდა შეხვედრა დაწესებულების სხვადასხვა პირებთან.

ავტორიზაციის სტანდარტებთან შეფასების დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასება არ დაემთხვა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას შემდეგ სტანდარტთან მიმართებაში: შეუსაბამოა:

სტანდარტი 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

სტანდარტი 2. კურიკულუმი;

სტანდარტი: 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა;

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................

ნაწილიII: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br><br>**პროგრამის სახე-**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა.<br>**კურიკულუმის დასახელება-**ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში „<br>მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფისთვის. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ | | |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| **2. კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება | ☐ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მისია წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტით: **ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს 2025-2030 წლების სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულია თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №ბ17. 2825045001 ბრძანებით**. მისია შემდეგნაირად ჟღერს: **ჩვენი მისიაა შევქმნათ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვს განავითაროს და გამოავლინოს შემოქმედებითი უნარები. დასვას კითხვები და ეძიოს პასუხები, იყოს გახსნილი კრიტიკულად მოაზროვნე , ჰქონდეს საშუალება დაინახოს სამყაროს მრავალფეროვნება.** წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი. გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................
........................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................

.........................................................................................................................

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები და წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტით: ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს 2025-2030 წლების სტრატეგია. რომელიც დამტკიცებულია თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №ბ17. 2825045001 ბრძანებით.

დაწესებულების ხედვაა: ბაღის გარემოში თითოეული ბავშვი უნდა იყოს პროცესის თანაბარი მონაწილე, მათ აქვთ თანაბარი აზრები, სურვილები და ინტერესები, რომელიც აუცილებელად უნდა იყოს გათვალისწინებული და დაფასებული. ბავშვის მხარდაჭერის, მოტივაციის და თავდაჯერებულობისათვის მშობლების როლისა და ჩართულობის გაზრდა ბაღის ყოველდღიურობაში. ბავშვს უნარების განსავითარებლად უნდა ჰქონდეს მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობისთვის შესაძლებლობა. ბაღი შეძლებს სხვადასხვა ბუნებრივი რესურსების /სათამაშოების მოძიებას/აღჭურვას.

დაწესებულების ღირებულებებია: ინოვაციურობა-ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა .

ინდივიდუალობა და ინკლუზია: ჩვენ ვაფასებთ თითოეული ბავშვის უნიკალურ ძლიერ მხარეებს, ინტერესებს, ვუზრუნველყობთ, რომ ყველა გრძნობდეს თავს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თანასწორად.

ცნობისმოყვარეობა და ინტერესი: ჩვენ ვაფასებთ სწავლისადმი სიყვარულის გაღვივებას ბავშვების წახალისებით, დასვან კითხვები, განივითარონ შესაძლებლობები და აღმოჩენით მიიღონ სიხარული .

დაწესებულების მისიიდან გამომდინარე, განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. სამივე მათგანი ბავშვის კეთილდღეობასა და საუკეთესო ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული. მისიასთან მჭიდრო კავშირშია ხედვის სამომავლო მიზნებიც. ღირებულებების ნაწილში კი, წარმოდგენილია მისიასთან თავსებადი მიზნებისა და ორგანიზაციული პრინციპების ერთობლიობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………

### 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი", რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპარული ცენტრის დირექტორის 2024წლის 4 ოქტომბრის № ბ17. 2824278001 ბრძანებით,** აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია **მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი,** მაგრამ მეთოდოლოგიის შემუშავებას წინ უსწრებდა მისია, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტის შექმნა, შესაბამისად შემუშავების პროცესში რეგულაციის გათვალისწინება ვერ მოხდა.

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია შეხვედრის **ოქმი N 1, 2024 წლის 9 სექტემბერი და ოქმი N 2 - 2024 წლის 20 სექტემბერი.** (ოქმი N 1-ის თანახმად ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ბაღების დირექტორებს მიაწოდა ინფორმაცია მისია, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტის მომზადებასთან დაკავშირებით. (ოქმი N2 -ის თანახმად ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ბაღების დირექტორებს მიაწოდა ინფორმაცია უკვე მომზადებული მისია, ხედვისა და ღირებულების დოკუმენტის შესახებ).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი", რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2024 წლის 4 ოქტომბრის № ბ17. 2824278001 ბრძანებით.** აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია დაწესებულების მისია, ხედვისა და ღირებულების გაზიარების მექანიზმი .

**მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი.** მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გარდა ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა ( ა) ბაღის სოციალური გვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ) ), გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები:

ა) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში;

ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება გაერთიანების/ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე;

გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბაღებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბაღის მიერ.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მისია, ხედვისა და ღირებულების შემუშავების პროცესში დაინტერესებულ პირთა წრე **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ - ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპარული ცენტრის დირექტორის 2024წლის 04.10 № ბ17. 2824278001 ბრძანებით. მუხლი 4. პროცესში ჩართული მხარეები.**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

ა) ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი-ს “ გაერთიანების წარმომადგენლები;

ბ) ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი-ს ფილიალების -ბაღების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი,საკონსულტაციო საბჭო;

დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან რაც დასტურდება: გაზიარება მოხდა ოქმი N 2. (10.10.2024) თანამშრომლებთან. შეხვედის ოქმი N 4 (17.10.2024), სადაც აღწერილია აღნიშნული დოკუმენტის გაზიარების ამსახველი ინფორმაცია, შეხვედრას ესწრებოდა: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე, საფინანსო სამსახურის უფროსი, ყველა საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი, მუნიციპალური ცენტრის დირექცია, ცენტრის თანამშრომლები. დაწესებულებამ წარმოადგინა გაზიარების ამსახველი ფოტო მასალაც. (ოქმი N2 შედგენილია საბავშვო ბაღის დირექტორის მიერ ადგილზე, ხოლო ოქმი N4 ა (ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპარული ცენტრის მიერ). მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, დოკუმენტი გაზიარებულია დაწესებულების ფეისბუქ გვერდზე. განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და ასევე გამოქვეყნებულია გაზეთ „თერჯოლა“ში. სამომავლოდ გეგმავენ მისია ხედვისა და ღირებულებების მშობლებთან გაზიარებას, მზაობა იკვეთება დაწესებულების პერსონალთან და დასტურდება ინტერვიუს საფუძველზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს 2025-2030 წლების სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულია თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №ბ17. 2825045001 ბრძანებით.
2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ“ ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2024წლის 4 ოქტომბრის № ბ17. 2824278001 ბრძანება.

3. ოქმი N 1, N 2 (შემუშავების პროცესი) , ოქმი N 1 (04.10.2024) (გაზიარება თანამშრომლებთან). N 4 (17.10.2024) (საჯარო განხილვა-გაზიარება).
4. ინტერვიუს შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.1. დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

**1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. **სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2024 წლის 4 ოქტომბრის № ბ17. 2824278001 ბრძანებით.**

მეთოდლოგიაში განსაზღვრულია **მუხლი 7. პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი.**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება სამუშაო ჯგუფის შექმნით, ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი-ს ბრძანებით. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და სამუშაო ჯგუფის სხვა წევრები. ბრძანებით ასევე განისაზღვრება ჯგუფის მიერ შესასრულებელი სამუშაო და უფლებამოსილების ვადა. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შეიძლება განახლდეს პერიოდულად, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ბაღის სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაოების პროცესის წარმართვაზე, უზრუნველყოფს პროცესის კოორდინაციას, ბაღის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კომუნიკაციას, მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ასევე ახდენს ჯგუფის საქმიანობის მხარდაჭერას.

სამუშაო ჯგუფის წევრები არიან:

ა) გაერთიანების წარმომადგენლ(ებ)ი;

ბ) გაერთიანებაში შემავალი ბაღების წარმომადგენლები;

გ) მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;

სტრატეგიული გეგმის შედგენაზე სამუშაო ჯგუფის წევრთა არჩევის და მუშაობის შესახებ პროცესის მტკიცებულებად წარმოდგენილია ოქმები: N 3(7.10.2024), N 5(17.10.2024),N 6(15.11.2024), N 8(27.12.2024), N 9(14.02.2025), სამუშაო ჯგუფი დამტკიცებულია თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2024 წლის 11 ოქტომბრის Nბ17. 28242859 ბრძანება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ფორმას და პერიოდულობას. **მუხლი 13. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება**

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტლურად ხოლო შეფასებას წლიურად. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. **მუხლი. 14. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2.5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედო გეგმის შემთხვევაში კვარტლურად. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფი ამუშავებს წარმოდგენილ ინფორმაციას და ამზადებს ერთიანი ანგარიშის დოკუმენტს.

**მუხლი 4. პროცესში ჩართული მხარეები**

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

ა) ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი-ს “ გაერთიანების წარმომადგენლები;
ბ) ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი-ს ფილიალების -ბაღების წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, საკონსულტაციო საბჭო;
დ) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

**თავი 5. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესის საკვანძო პრინციპები**

ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი სტრატეგიული დაგეგმვისას ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს:

1. **თანამონაწილეობა** - სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვითა და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტ(ებ)ის გაზიარებით.
2. **დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება** - ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეებს ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.
3. **გამჭვირვალობა** - ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი სტრატეგიული დაგეგმვის და მისი განხორციელების პროცესში მუდმივად ახდენს ინფორმაციის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან, რითაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას.
4. **ანგარიშვალდებულება** - ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2.5 წელიწადში - სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას ბაღის ვებგვერდზე გამოქვეყნებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………

**2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს **ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N ბ17. 2825045001 ბრძანებით.**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ციკლური რაც დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა

შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს.

**დაწესებულებას გაწერილი აქვს მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები**

1. **ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების ფიზიკური გარემოს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**( ეზოს შემოღობვა, სახურავის შეცვლა/შეკეთება, პანდუსის გაკეთება, ატრაქციონების მოწყობა.)
2. **ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება.** (ფიზიკური გარემოს მოწყობა, ეზოების ფიზიკური გარემოს მოწყობა, მშობლების და თემის ჩართულობა, კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების მხარდაჭერა-განხორციელება, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მუნიციპალურ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების მიხედვით აღრიცხვა ხელმისაწვდომობის მიზნით.

3. **დაწესებულებების ეფექტიანობის ამაღლება და მდგრადობის გაძლიერება.**(მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება, აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციის შექმნა, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის საკონტაქტო და არასაკონტაქტო დროის გამიჯვნა და შემოღება, აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობის დაცვა, ადამიანური რესურსების ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სკოლამდელი განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა)

დაწესებულება ზრუნავს ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის განვითარებას, რაც დაწესებულების მისიაა. ბავშვის ჰოლისტური განვითარებაზე ზრუნვა დაწესებულების ღირებულების ნაწილია,

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, კვალიფიკაციის ამაღლება და საჭიროებებზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარება დაწესებულების ღირებულებას წარმოადგენს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის ბ17. 28250452 ბრძანება.** სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების

შემუშავების პროცესის მტკიცებულებად წარმოდგენილია ოქმები: ოქმი N3. (7.10.2024). ოქმი N 5 (17.10.2024), ოქმი N 6 (15.11.2024), ოქმი N 8 (27.12.2024), ოქმი N 9 (14.02.2025)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას. არის ერთწლიანი, არ არის განსაზღვრული რომელი თვიდან რომელ თვემდეა. სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის მიზნები არ ემთხვევა ერთმანეთს. (სტრატეგიულში მოცემულია სამი მიზანი, ხოლო სამოქმედოში რვა მიზანი). წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას, რადგან არ დამდგარა განხორციელების დრო. განსაზღვრული არ არის სავალდებულო ველი- მატერიალური რესურსი, ასევე არ არის გაწერილი ზაღების მიხედვით შესასრულებელი აქტივობები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა დააკორექტიროს იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოვიდეს რეგულაციით განსაზღვრულ სამოქმედო გეგმასთან.

რჩევა

დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შესრულების დროს გაითვალისწინოს ყველა იმ სავალდებულო ველის შევსება, რომელსაც უნდა მოიცავდეს სამოქმედო გეგმა. **ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის ბ17. 28250452 ბრძანება. მუხლი 11. სამოქმედო გეგმის შემუშავება.**

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ 4 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს გაერთიანების დირექტორის მიერ სამოქმედო გეგმის ცვლილების შესახებ განაცხადის გაცნობას სამუშაო ჯგუფთან და ვადის განსაზღვრას რეაგირებისთვის. სამუშაო

ჯუფის მიერ ცვლილებების შესწავლას, ცვლილებების შეტანას სამოქმედო გეგმაში . რედაქტირებული სამოქმედო გეგმის მიწოდებას გაერთიანების დირექტორთან დასამტკიცებლად.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები არ შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სამოქმედო გეგმა დააკორექტიროს იმგვარად, რომ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყოს სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.

რჩევა

...................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................
..................................................................................................

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ  4 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს გაერთიანების დირექტორის მიერ სამოქმედო გეგმის ცვლილების შესახებ განაცხადის გაცნობას სამუშაო ჯგუფთან და ვადის განსაზღვრას რეაგირებისთვის. სამუშაო ჯუფის მიერ ცვლილებების შესწავლას, ცვლილებების შეტანას სამოქმედო გეგმაში . რედაქტირებული სამოქმედო გეგმის მიწოდებას გაერთიანების დირექტორთან დასამტკიცებლად.

 აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ“, რომელიც დამტკიცებულია  ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის  მუნიციპალური ცენტრის  დირექტორის  2024 წლის  4 ოქტომბრის № ბ17. 2824278001 ბრძანებით.**

დაწესებულებას ჯერ არ აქვს წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება, რადგან სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი (სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება კვარტლურად) არ აქვს განხორციელებული.

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის შეფასება, რადგან დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტლურად ხოლო შეფასებას წლიურად. **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი"- ში აღწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. მუხლი. 14. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი.** დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა სამოქმედო გეგმის მონიტორინგთან დაკავშირებით, რომლის მიღება და გათვალისწინება ვერ ხდება, რადგან არ არის განსაზღვრული აქტივობის დაწყების და დასრულების დრო.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის ბაღი იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში 2.5 წლის შემდეგ, ხოლო სამოქმედო გეგმის შემთხვევაში კვარტლურად. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფი ამუშავებს წარმოდგენილ ინფორმაციას და ამზადებს ერთიანი ანგარიშის დოკუმენტს.

**მუხლი 15. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება**

1. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

2. საანგარიშო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით.
3. სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით. ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ.
4. ანგარიშე(ბ)ის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საჯარო ღონისძიებები( შეხვედრები,ვორქშოპები და ა.შ.)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

## რეკომენდაცია

**„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“- ში, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2024 წლის 04.10 № ბ17. 2824278001 ბრძანებით. მუხლი 15. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება.** დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესრულება დადგენილი ვადის მიხედვით.

## რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………

argumentირebული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ  4 თვის ვადაში დაწესებულება გეგმავს გაერთიანების დირექტორის მიერ სამოქმედო გეგმის ცვლილების შესახებ განაცხადის გაცნობას სამუშაო ჯგუფთან და ვადის განსაზღვრას რეაგირებისთვის. სამუშაო ჯუფის მიერ ცვლილებების შესწავლას, ცვლილებების შეტანას სამოქმედო გეგმაში . რედაქტირებული სამოქმედო გეგმის მიწოდებას გაერთიანების დირექტორთან დასამტკიცებლად.

აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე ექსპერტის შეფასება იცვლება და **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

**„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“- ში, რომელიც  დამტკიცებულია ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2024 წლის 04.10 №ბ17. 2824278001 ბრძანებით. მუხლი 15. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება.** წარმოდგენილია შემდეგი სახის ჩანაწერი: მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. **ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.**

საანგარიშო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2.5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით.

სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით. ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ.

ანგარიშე(ბ)ის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საჯარო ღონისძიებები( შეხვედრები,ვორქშოპები და ა.შ.)

შესაბამისი დრო არ დამდგარა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის 2024წლის 4 ოქტომბრის № ბ17. 2824278001 ბრძანება.
2. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის ,,მუნიციპალური ცენტრი"-ს სტრატეგიული გეგმის შედგენაზე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის ,,მუნიციპალური ცენტრი"-ს დირექტორის 2024 წლის 11 ოქტომბრის №ბ17. 28242859 ბრძანება.
3. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის N ბ17. 2825045001 ბრძანება
4. ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ ა(ა)იპ ,,თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 14 თებერვლის №ბ17. 28250452 ბრძანება.
5. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის მტკიცებულებად წარმოდგენილია ოქმები: ოქმი N3. (7.10.2024). ოქმი N 5 (17.10.2024), ოქმი N 6 (15.11.2024), ოქმი N 8 (27.12.2024), ოქმი N 9 (14.02.2025)
6. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდის და განათლების პროგრამა
კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 -დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

### კურიკულუმის დაგეგმვა
### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

**1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს **"კურიკულუმის შერჩევის ,გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი".** დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით - **ბ..№28243343** .თარიღი 2024 წლის 29.11.აღნიშნული წესის თანახმად კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: **მუხლი 2**- კურიკულუმის შერჩევა:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა.

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა.

გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა.

დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

ამავე წესში **მუხლი 2,პუნქტი 2** -აღნიშნულია რომ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.

**მუხლი 2**, **პუნქტი 6** - სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება კურიკულუმ(ებ)ის შერჩევა და დაწესებულების დირექტორთან დასამტკიცებლად წარდგენა.

შერჩეული კურიკულუმები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით ამ კურიკულუმების განხორციელების მისამართების მითითებით.

დაწესებულებაში კურიკულუმის შერჩევის პროცედურები განხორციელებულია შემდეგნაირად: დაწესებულებას ჰყავს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან :დაწესებულების დირექტორი,დაწესებულების დირექტორის მოადგილე,დაწესებულების მეთოდისტი, კოორდინატორი,დაწესებულების ფილიალის დირექტორი და მეთოდისტები. სამუშაო ჯგუფი არ არის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **მუხლი 2,პუნქტი 2** -ის შესაბამისად.

